# სამშობლო

წ. I 1915 წ. ხუთშაბათი 12 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვეურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი...

განცხადების ფასი: პეტიტის სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კუთვნის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 33 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 33


"სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

## „სამშობლო"

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.
ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.
ადრესით. **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო"**.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**



ბესარიონ მახარობლისძე აბდალაძე, შვილები: მელიტონ, ალექსანდრე, და მართა (მათურა) აბდალაძის ასული გიორგაძისა, სიძე ივანე ბესანის ძე გიორგაძე და რძალი ნადია კანტეანის ასული აბდალაძისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი მეუღლის, მეორენი უსაყვარლესი დედის, მესამე სიდედრისა, ხოლო უკანასკნელი დედამთილისა

## ელისო გრიგოლ ნიკოლაიშვილის ასულის აბდალაძისას,

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, რუზანის ქუჩ. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 12 მარტს, ნაშუადღევს 4 საათზე. 3—3—94.



**ქალაქის თეატრი**

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ ხუთშაბათს, 12 მარტს, წარმოდგ. იქნება ი. გედევანიშვილის ორიგინალური პიესა

1. **გამცემი**

დრამა 3 მოქმედ.

ი. გომართლის ორიგინალური კომედია

2. **დრამატიული საზ. გამგეობის წევრი**

2 მოქმედებად.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე** რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. **ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

**ანონსი:** ჰამლეტი, ყაჩაღები, იუდა ისკარიოტელი, ოიდიპოს მეფე, დაძირული ზარი.



ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

## ძმათა პასხალიდის

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში **ნიკიფორე მ. ჯანელიძის** მაღაზიაში; **ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.



დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ **ნ. ს. ჟორჟიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права"
Проф. Л. І. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.



უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

## პ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**პ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის**: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ თ.



ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. **მოსკოვის ფირმის** ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

## ამხ-ბა „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი"-ს

სამნიფაკტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

აბრეშუმეულობა,
შალეულობა,
მაუდეულობა
და ბამბეულობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კოსტიუმებისათვის:

„ხავერდი—შიფონი" „კრეპ—აბრეტინი" და „კოტლე ნოველი" **მანტოსათვის**:

„ფაი-რინე" და „ფაი-შიკ."

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნის მანუფაკტურის ნაწარმოები.

ფასები შეუდარებლათ თ.



## ამერიკული მწარე ვაზი (*rupestris*)

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასათ; იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.



**კბილის მენალარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა**, დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.



**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.



**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)



**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.


# ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

## რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 10 მარტი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. ჩვენმა რაზმმა მემელი დაათვალიერა და ისევ უკან დაუბრუნდა. ნემანის მარცხენა ნაპირზე, მარიამპოლის რაიონში, გერმანელების იერიში მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. შიპლიშკთან კალვარიასა და სუვოლკში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა სიბნელითა და ნამქერით ისარგებლა და გერმანელების სამხედრო ბარგს დაეცა; დარაჯთაგანი ზოგი დახოცა, ზოგიც ტყვეთ წამოიყვანა და ხელში ჩაიგდო ბევრი ნადავლი. ოსოვეცის არტილერიამ დასახულ მიზანს მიაღწია. გერმანელების ბატარეიების ცეცხლი განელდა, კარპატებზე ჩვენი ჯარი, დუკლინის გასავალ ადგილებიდან მდ. ზემო სანამდი, მამაცურათ წინ მიიწევს. აქ დავატყვევეთ 3500 ჯარისკაცი, 16 ტყვიის მტყორცნელი და სამი ზარბაზანი ვიხელთეთ. უჟოკის გზით გერმანელების იერიში მოგერებულ იქნა. პერემიშლეს ციხე-სიმაგრის კომენდანტი გენერალ კუსმანეკი დაგვნებდა. გარნიზონის შედგენილობა 9 გენერალსა, 93 შტაბოფიცერსა, 2500 ობერაფიცერსა, რამდენსამე მოხელესა და 117000 ჯარისკაცს უდრიდა. ჩვენი ჯარი სიმაგრეში შევიდა, შეამოწმა ტყვეები, აღნუსხა მთელი ნადავლი ქონება: აღმოჩნდა აგრეთვე რამდენიმე არტილერიაც.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 9 მარტი. დღის ოფიციალური ცნობა. ნოტრდამ პიპდრიასთან, არასის ჩრდილოეთით, გერმანელებმა კონტრ-იერიშით რამდენიმე ადგილები და თხრილები წაგვართვეს, მაგრამ გუშინ ხელახლათ უკანვე დავიბრუნეთ. ლაბუასესთან, ალბერის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნაღმებით ბრძოლა გრძელდება. მტრის ნაღმების საწყობი ავაფეთქეთ და ორმოს დიდი ნაწილი დავიჭირეთ. კვირის განმავლობაში რეიმსს მტერმა 50 ყუმბარა ესროლა. არგონის სიმაღლეზე მტერი ორჯერ დავამარცხეთ და ბოგატელთან სამი ნაღმი ავაფეთქეთ, რის შემდეგაც ჩვენმა ორმა როტამ გერმანელების ორი თხრილი დაიჭირა და, მიუხედავათ მტრის ძლიერი კონტრ იერიშისა, ზედ გამაგრდა. მტერმა ამ ადგილს 50 მეტრის მანძილზე ორი ნაღმი ააფეთქა, ჩვენს თხრილებს ყუმბარები დაუშინა, შემდეგ 250 მეტრის სივრცის ფრონტზე იერიში მოიტანა. ხელჩართული ბრძოლის შემდეგ მტრის იერიში მოვიგერიეთ, მიუხედავათ მაშველი ჯარის დახმარებისა. როცა უკან დაიხიეს ჩვენი არტილერიის ცეცხლმა მოასწრო და დიდი ზარალი მიაყენა. ნოტრდამდელორეტის სიმაღლეზე ჩვენს ხელში მთელი თხრილების ხაზია გარდა იმ 10 მეტრის სივრცის ადგილისა, რომელიც ჯერ კიდევ გერმანელებს უჭირავთ. ეპარჟთან მტერმა ხუთჯერ მოიტანა კონტრ-იერიში. უნდოდა ჩვენთვის პოზიციები წაერთმია, მაგრამ ამაოთ, იგი დამარცხდა. ბადონვილერის ჩრდილოეთით ჩვენ ცოტათი წინ წავიწიეთ. გერმანელებმა ლაბუასესთან ალბერტის სამოქალაქო გოსპიტალს, მიუხედავათ ზედ აღმართული წითელი ჯვრის ბაირაღებისა, სროლა აუტეხეს. მას შემდეგ, რაც მტრის ჰაეროპლანმა დაზვერვა მოახდინა, არტილერიის ცეცხლი განაახლა და გოსპიტალს რამდენიმე ყუმბარა მოარტყა. მოკლულია ხუთი ბერიკაცი და რამდენიმე დაჭრილი. გოსპიტლის მეთვალყურე მძიმეთ არის დაჭრილი.

**სტოკჰოლმი.** 9 მარტი. შვეციის დეპეშათა სააგენტო, უცხოეთის პრესის ცნობის შესახებ, ვითომც შვეციელ აფიცრებს ხელი შეეწყოთ სპარსეთში თოფის კონტრაბანდათ შეტანისათვის, აცხადებს, რომ ასეთი ბრალდება სიმართლეს მოკლებულიაო. როგორც შვეციის მთავრობა, ისე კიდევ შვეციის ჟანდარმერიის აფიცრები სპარსეთში შვეციის ინსტრუქციის თანახმათ მოქმედებენ და ამ ინსტრუქციის მიხედვით აკრძალული აქვთ არავითარ პოლიტიკაში არ ჩაერივნენო.

**პარიზი.** 9 მარტი. „ცეპელინის" მოახლოვების ცნობამ მცხოვრებლები ააჩოჩქოლა. ღამის სამ საათზე სიმშვიდე ჩამოვარდა, ქალაქი გაანათეს. პარიზის სამხედრო ბანაკის მთელ სივრცეზე არავითარი უბედურება არ მომხდარა.

**პარიზი.** 10 მარტი. 8 მარტს, საფრანგეთის ჰაეროვანი ძალები მამაცურათ შეხვდა „ცეპელინების" თავდასხმას. კვირას ბელგიაში „ცეპელინებმა" ჰაეროდრომზე, რკინის გზის ლიანდაგს და სადგურ ლიხტერფელდს 20 ყუმბარა ესროლეს. რულერამდი მფრინავებს თოფების სროლით გამოეკიდნენ. სადგურ მერკენსა და ვიფრეგს 10 ყუმბარა ესროლეს. ლაბასეს სამხრეთით ჩავუსაფრდით და ორ ჰაეროპლანს გამოვეკიდენით, რომლებიც იძულებული გახდენ თავის სამყოფელ ხაზისკენ გაეხვიათ. ენის ველზე ჩვენმა ორმა ჰაეროპლანმა მტრის ერთი ჰაეროპლანი დაიფრინა. შამპანში ჩამობმულ ბურთს 500-ღი ისარი ვესროლეთ; სადგურ ბაზენიურზე და მტრის ბატარეიებზე რამდენიმე ყუმბარაა ჩამოყრილი. რეიმსის ჩრდილოეთით გერმანელი მფრინავი ვიფრინეთ. ელზასში, კომარას სამხრეთით რკინის გზასთან მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. სადგურ სერნესა და მიულგეიში კაზარმებს ექვსი ყუმბარა ესროლეს. სადგურ ალტკირხეს ჩვენმა ჰაეროპლანებმა წარმატებით დაუშინა ყუმბარები. ბელგიაში რულერთან ახლოს სტადენის სადგურს და რამდენიმე ბანაკს ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს. ბრიუკეში ვალანსიენთან ჰაეროდრომზე რამდენიმე ყუმბარა მარჯვეთ არის ჩამოყრილი. მდ. ენის რაიონში ლაფერის კაზარმას და სადგურების შენობებს ანიზში, შონისა, ტერონიუსი და კუსილეშატეს ჩვენმა მფრინავებმა დიდი ზიანი მიაყენეს. პონტაფავერჟში ჰაეროდრომი და სამხედრო მასალის საწყობები რამდენიმე ყუმბარით არის დაზიანებული. კონფლანჟარნის სადგური და ახლო-მახლო მდებარე რკინის გზის ლიანდაგები ყუმბარებით არის დაზიანებული. ორმოც ნასროლ ყუმბარებისაგან ფრენბურგში კაზარმებსა და სადგურს 11 ყუმბარა მოხვდა. 9 მარტს ვილერკოტერის თავზე საღამოს „ცეპელინი" გამოჩნდა, რომელიც დასავლეთისკენ მიექანებოდა. ამის შესახებ პარიზის მთავრობას დაუყოვნებლივ შეატყობინეს, სადაც შესაფერი ზომები იქნა მიღებული.

# დღეს რა მოხდა.

**რუსეთ გერმანიის ასპარეზზე.**

რუსის ცხენოსანი ჯარი კალვარიასა და სუვალკში გერმანელების ზურგს დაეცა და ბევრი დავლა ჩაიგდო ხელში.

კარპატებში რუსის ჯარი მამაცურათ წინ მიიწევს.

პერემიშლის აღების დროს დატყვევებულ იქნენ: 9 გენერალი, 93 შტაბ-აფიცერი, 2.500 ობერ-აფიცერი, რამდენიმე მოხელე და 117.000 ჯარისკაცი.

ბრაიონოსა და რუსეთის ელჩს—ბახმეტოვს სადავო საკითხების გამო თათბირი ქონდათ.

**დასავლეთის ასპარეზზე.**

ლაბუასესთან, ალბერის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნაღმებით ბრძოლა სწარმოებს.

ფრანგებმა გერმანელების ნაღმების საწყობი ააფეთქეს და ორმოს დიდი ნაწილი დაიკავეს.

ერთი კვირის განმავლობაში გერმანელებმა რეიმსს 50 ყუმბარა ესროლეს.

ეპარჟთან გერმანელები კონტრიერიშს აწარმოებენ.

ფრანგების გოსპიტალს გერმანელების ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს.

გერმანიის ჰაეროპლანებმა სხვადასხვა ადგილს რკინის გზის ლიანდაგებს და სადგურებს ყუმბარები დაუშინეს.

ელზასში ფრანგებმა გერმანელების 1 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

ბელგიაში ფრანგების ჰაეროპლანები მარჯვეთ მოქმედებენ. სხვადასხვა ადგილს რამდენიმე ყუმბარაა ნასროლი.

გერმანელები სამხედრო მასალას ზოგვენ; ჯარს დაღლილობა ეტყობა.

გერმანელების ჰაეროპლანები კვლავ განაგრძობენ პარიზის თავზე ფრენას.

**დარდანელთან.**

ბუქარესტიდან მოსული ცნობით დარდანელის სამხრეთის ფორტები უკვე დაეცა.

მარმარილოს ზღვაში ინგლისის წყალქვეშა ნავები გამოჩდენ.

დარდანელის ყურე 17 კილომეტრის მანძილზე ნაღმებისაგან გათავისუფლებულია.

სტამბოლი დაცალიერებულია.

ხალხი ძლიერ აღშფოთებულია გერმანელების წინააღმდეგ.

ოსმალეთის მთავრობა ნეიტრალურ სახელმწიფოებიდან სამხედრო სურსათის შეძენას ცდილობს.

სატელეგრაფო დაწესებულებები სმირნაში გასაგზავნ დეპეშებს აღარ ღებულობს.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბერლინიდან იტყობინებიან, მუშათა ძალაში შევიდა დადგენილება, რომლის ძალითაც ზევითა ელზასსა და შვეიცარიას შორის ყოველივე დამოკიდებულება შეწყვეტილია. აკრძალულია საზღვართან 20 მეტრის მანძილზე მისვლა; ამის დამრღვევი დახვრეტილ იქნება. გამონაკლის შეადგენენ სასულიერო პირები, ექიმები და სახელმწიფოს წარმომადგენლები.

——

ვილჰელმის ბრძანებით, 8 აპრილს მოწვეული იქნება ელზასის ორივე პალატა.

გერმანიის მთავრობამ, გერმანიის ლომბარდიაში მცხოვრებ ფრანგების ადგილ-მამულებს კონფისკაცია უყო.

——

ბულგარეთის საქმეების მცოდნე ოფიციოზი „ვიტტორულ“-ი იტყობინება:

სოფიის, სასახლეში მოხდა სამეფო სხდომა, რომელზეც იყვენ ყველა ოპოზიციონური პარტიის ლიდერები და მინისტრ-პრეზიდენტები.

სხდომა გაიხსნა მეფე ფერდინანდის თავჯდომარეობით. კრება მივიდა იმ დასკვნამდი, რომ ბულგარეთმა უნდა უარჰყოს ნეიტრალიტეტი და ჩაერთოს ომში.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ შეიქნა ლაპარაკი კოალიციურ კაბინეტის შედგენის შესახებ.

ამ კაბინეტის შედგენა იკისრა რადოსლავოვმა. ოპოზიციის ლიდერები ითხოვენ, რომ კაბინეტის მთავრათ მალინოვი დაინიშნოს, თანამშრომლებათ-კი მეშოვი, დანევი და თედოროვი.

რადოსლავოვის კაბინეტის დაცემა— რამდენიმე დღის საკითხია.

——

უტრეხტის პროვინციაში, სამხედრო მინისტრის თანდასწრებით, გაიმართა ჰოლლანდიის არმიის დიდი ალლუმი. რუსკოე სლ. ატყობინებენ, რომ ჯავშნოსან გემზე „დიუფრენზე“ შესდგა დიდი სამხედრო თათბირი ყველა ადმირალისა და გემების სახლობის მონაწილეობით რომლებმაც დაადგინა, დარდანელზე ყუმბარების დაშენა განაგრძონ. ყველა გემის ეკიპაჟები ამ დადგენილებას „ვაშას“ ძახილით შეხვდნენ.

——

„უ. რ.“ ატყობინებენ ბუქარესტიდან: გადაწყვეტილია სტამბოლში ბოსფორისა და დარდანელის ნაპირების დასაცავათ შეგროვდეს 300 ათასი ჯარის კაცი, რათა ხელი შეუშალონ მოკავშირეთა დესანტებს.

ბუქარესტიდან საჩქაროთ იტყობინებიან, რომ სამხრეთის ფორტები დარდანელის უკვე დაეცენ. ინგლისის წყალქვეშ ნავები უკვე გამოჩნდენ მარმარილოს ზღვაში. ინგლისის ერთმა მფრინავმა ყუმბარები ჩამოაგდო როდოსტოში, მეორემ სანსტეფანოში.

——

დარდანელი 17 კილომეტრის მანძილზე ნაღმებიდან გათავისუფლებულია. სანაპირო ბატარეები განადგურებული. სტამბოლი დაცლილია, მართებლობა ძლივს იკავებს ხალხის აღშფოთებას გერმანელების წინააღმდეგ.

——

ავსტრიის საელჩომ რომიდან გაგზავნა, თავისი არქივი ვენაში. ამ მოქმედებამ ხალხში დიდი სენსაცია გამოიწვია.

——

ინგლისისა და საფრანგეთის თანხმობამ იმის შესახებ, რომ ბოსფორის კლიტე რუსეთს მიეკუთნოს, ინგლისის საზოგადოებაში დიდი ალტაცება გამოიწვია.

**ნახშირის გაზიდვის აკრძალვა.**

ქრისტიანიის ბირჟაზე შემდეგი აღმაშფოთებელი ცნობა მიიღეს! ინგლისი ამ დღეებში შესწყვეტს ნახშირის გაზიდვასო. ეს გადაწყვეტილება ნორვეგიაში ნახშირის შიმშილს გამოიწვევს. ნორვეგია იძულებული იქნება ნახშირი ამერიკიდან გამოზიდოს.

——

გრაფმა იგნატიევმა უარყო კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინადადება, რომელიც მოითხოვდა, რომ ებრაელთა შვილები არ დაუშვან კიევის გუბერნიის სასწავლებელში.

——

„რ. ვ. იტყობინება, ვ. ფინგერს ნება მიეცა იცხოვროს ყველგან რუსეთის იმ პერიაში, სადაც უნივერსიტეტი არ არსებობს.

——

ალექსანდრე ამფითეატროვმა მიმართა პუანკარეს თხოვნით, რათა მან იშუამდგომლოს რუსეთის მართებლობის წინაშე ბურცევის განსათავისუფლებლათ. პუანკარე დათანხმდა.

——

როგორც „ნ. ვრ.“ იტყობინება, სოფიაში დემოკრატების ლიდერმა მალინოვმა თხოვა მეფე ფერდინანდს აუდიენცია. ფიქრობენ, ამ აუდიენციას დიდი მნიშვნელობა ექნება კაბინეტის გამოცვლაშით.

——

ინგლისის გაზეთების ცნობით, სტამბოლში მომხდარ სამხედრო თათბირზე გადაუწყვეტიათ: თუ მოკავშირეებმა გაიმარჯვეს, ინგლისელებს დანებდენ. ამ გადაწყვეტილების პასუხათ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა მიინდოს, გამარჯვების შემდეგ, რუსის [illegible] დროშის აფრიალება [illegible] რის მეთაურობა მიუხედავათ იმისა, რომ ფლოტის თავში უნდა იდგეს იმ სახელმწიფოს გემი რომლის ძალებიც ფლოტში უფრო მეტია.

# ნარკვევი.

იმ უცნაური დეპეშის გამო, რომელიც ამ დღეებში გამოაქვეყნა პეტროგრადის სააგენტომ სევასტოპოლიდან, გაზეთ „შადრევანი სწერს:

ქართველმა ერმა ხმა უნდა ამოიღოს.

ომის დაწყებისთანავე ვილაცეებმა, რუსეთის და ჩვენმა მოხანათეებმა მთელი ქართველობა აითვალწუნეს, მიზანში ამოიღეს. მათი სურვილია ჩვენ შორის შური ჩამოაგდოს, მათ სურთ ქართველების წრფელი გული და პოლიტიკური განზრახვა დამამცირებელი ჩურჩულის და ეჭვების ბურუსში გახვიონ. ბნელმა ძალებმა ფრთა გაშალეს და ქართველების გარშემო, ქართველ ხალხის გასაშავებლათ, საქართველოს წინააღმდეგ შური, ღვარძლი და მძულვარებით აღსავსე ცილისწამება აამუშავეს.

ამას ერთვის ახალი, ყველაზე უდიდესი ინსინუაცია, რომელიც თავისუფლათ და განუმარტებლათ გამოაქვეყნა პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ და რომელსაც ქვევით ვათავსებთ. ე'ს აღმაშფოთებელი ამბავი გულის სიღრმემდე სწვდება ყოველ ქართველს და საპროტესტოთ იწვევს მთელ ერს ღირსების შემბღალველ პოლიტიკის დასაგმობად, ვინაიდან „არ უთქმელობა არ ვარგა, არ პირუტყვი ვარ მჩმუნავი“. ქართველობა შიშ-შეუვალი გულით უნდა წამოდგეს წინ და თქვას ის, რაც სწადია და რაც აღელვებს დღეს, განსაკუთრებით პეტროგრადის სააგენტოს „ვილაც“ კორესპონდენტის მიერ მიღებული უცნაური დეპეშის დაუსჯელათ გამოქვეყნების შემდეგ. არცერთ რუსეთში მყოფ ერს არ დამართია და არ ემართება ის, რაც ქართველებს მოსდის; ამდენი სიცოცხლის გაწირვა და მსხვერპლი და ამდენი უმადურობა! დროა მოეღოს ბოლო ამ შემაძრწუნებელ ყოფას და აილაგმოს პროვოკაცია-საიდანაც უნდა მოდიოდეს ის.

ქართველმა ერმა ხმა უნდა ამოიღოს...

---

**პარიზი.** 9 მარტი. ჰავასის წარმომადგენელმა ფელდმარშალმა ფრენჩმა განაცხადა, რომ მიუხედავათ ნოტიოიანი ზამთრისა, ინგლისის ჯარის სულიერი განწყობილება კარგია. მართალია ომის პირობები ძნელი ასატანია, მაგრამ მიზანს რომ ადვილათ მივაღწიოთ, საჭიროა ჯარი სამხედრო მასალის მხრით უზრუნველ ვყოთ. გერმანელები ამ ჟამათ, რაც შეიძლება, სამხედრო მასალს იზოგვენ, რადგანაც წინათ უანგარიშო ხარჯავდენ და ახლა-კი ყუმბარების დასამზადებლათ აზოტისტური ნივთიერების ნაკლულოვანებას განიცდიან, აგრეთვე გერმანიის ჯარი მოიქანცა და დაღლილობას გრძნობს. ამას ფელდმარშალმა დაუმატა, რომ იგი დარწმუნებულია ომი დიდხანს არ გაგრძელდება, რადგანაც გაზაფხული მოკავშირეთ ომის პირობებს შეუსუბუქებს, საფრანგეთის ჯარი თავს მხნეთ გრძნობს, მასთან კარგათაც არის შეიარაღებული, რუსებმა ეს არის ახლა მემელი აიღეს, შეიჭრა აღმოსავლეთ პრუსიაში, და უკანასკნელ დროს დარდანელის რამდენიმე ფორტი ჩავაჩუმეთო.

**ვაშინგტონი.** 10 მარტი. სტატს-სეკრეტარ ბრაიანოსა და რუსეთის ელჩ ბახმეტოვს თათბირი ჰქონდათ ამერიკასა და რუსეთს შორის სადავო საკითხების მშვიდობიანათ გადაწყვეტის შესახებ.

**პარიზი.** 9 მარტი. საღამოს 9 საათზე ხელახლათ ასტყდა ჩოჩქოლი. „ცეპელინის“ მოახლოვებისთანავე შესაფერი ზომები იყო მიღებული. ქალაქში სინათლე ჩააქრეს.

**სტოკჰოლმი.** 9 მარტი. რეიხსტაგის ფარულ სხდომაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა მალმეში მეფეების ერთმანეთის ნახვის დროს ნალაპარაკევის შესახებ ცნობა წაიკითხა.

**ბუქარესტი.** 9 მარტი. კონსტანტინეპოლიდან მიღებულია შემდეგი ცნობები: კონსტანტინეპოლში 15,000 ჯარისკაცი მოუმზადებიათ დარდანელის სრუტეზე გასაგზავნათ. ოსმალეთის მთავრობა ცდილობს ნეიტრალურ სახელმწიფოებიდან მიიტანოს სამხედრო სურსათი. დაბა ქალაქებში სურსათ-სანოვაგის რეკვიზიციას ა'დენენ. სატელეგრაფო დაწესებულებები ტელეგრამებს აღარ იღებენ სმირნაში გასაგზავნათ, ქალაქის ევაკუაციის გამო.

---

# ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო დამოკიდებულება უცხოეთთან.

**წერილი ლონდონიდან.**

(მიმოხილვა 1884-დან 1912 წ—დი).

შემდეგი იხილე „სამშობლო“-ს №№ 29—32

9. თუთუნი (ანუ თამბაქო) თუთუნის მოყვანას ჩვენში უკვე 80 წელიწადია რაც მისდევენ. მოშენების მხრივ ჩვენი ქვეყანა სამ რაიონად გაიყოფება: სოხუმის, გურია-ართვინისა და სიღნაღ-საინგილოსი.

სოხუმის რაიონში აგერ 40 წელიწადია, რაც თუთუნის მოყვანას ეწევიან ტრაპიზონიდან მოსული ჰანები (ანუ ქართველი მაჰმადიანები). ისინი უმთავრესად აშენებენ ორ ჯიშს: „სამსონ“-ს და „ტრაპიზონ“-ს, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში თვით ოსმალეთში მოყვანილს სჯობია ღირსებით. უცხოეთში სოხუმის თამბაქომ სახელი გაითქვა და 1912 წელში მარტო გერმანიაში შეზიდეს 35,000 ცალი. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თითქმის ნახევარზე მეტი სოხუმის თუთუნის ეგვიპტეში იზიდება რასაც სიახლოვე ძლიერ ხელს უწყობს.

1911 წ. სოხუმისა და გურია-ართვინის რაიონში დიდი პლანტაციების რიცხვი იყო 10,963; პატარა (25 დესეტინა) 3,613.

წლიური მოსავალი უდრიდა 505,703 ფუთს; აქიდან უცხოეთში გაიზიდა: 52,053 ფუთი.

სიღნაღ-საინგილოს რაიონში (ზაქათალის ოლქი) ითვლებოდა დიდი პლანტაციები (1,313 დესეტინა თითო) 2,000; პატარა (2 დესეტინა თითო) 381.

წლიური მოსავალი უდრიდა: 112,117 ფუთს; აქიდან უცხოეთში გაიზიდა: 5,690 ფუთი.

ვინაიდან ამ რაიონის თუთუნი თითქმის სულ თფილისის პაპიროსის ქარხნებს უნდება.

1906—1912 წ. ბათომზე გაიზიდა სულ 114,948 ფუთი თუთუნი, დაახლოებით 1,270,000 მანეთის ღირებულობის. ვინაიდან ნახევარზე მეტი სოხუმის თუთუნისა უცხოეთში ოდესაზე მიდის, მაგალითად ეგვიპტეში, ამიტომ ბათომზე გაზიდული ნამდვილი რაოდენობის ნაწილს წარმოადგენს.

თუთუნის საქმეს ჩვენში დიდი მომავალი აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, სოხუმის რაიონში მისი გაზიდვა თითქმის მარტო უცხოელთა ხელშია, ქიზიყ-საინგილოში კი ჩვენებური მწარმოებელი ჯერ კიდევ ჩარჩ წვრილათა კლანჭებშია გახვეული.

ამ საქონელის უცხოეთში გასაზიდათ დიდი დახმარება შეუძლიათ გამოუჩინონ ჩვენს მწარმოებელთ ადგილობრივმა ბანკებმა.

უცხოეთში გასაზიდათ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს თუთუნის ხარისხებით გადარჩევას, რასაც ჩვენები აქამდე ვერ ახერხებენ.

## 10 ღ ვ ი ნ ო.

მევენახობასა და მეღვინობას ჩვენი ქვეყნისათვის, მეურნეობის ყველი სხვა დარგზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასზეა უმთავრესად დამყარებული ჩვენი ხალხის კეთილდღეობა.

ჩვენი ქვეყნის ღვინოს დიდი ბაზარი აქვს მთელს რუსეთში, რომლის გაფართოვებაც ადვილი საქმეა, თუ ჩვენში ღვინის დაყენება ისეთივე დონეზე დადგა, როგორც ეს დასავლეთ ევროპაშია.

აქვე მოვიყვანთ 1911 წ. ციფრებს ჩვენებური მევენახობის დასახასიათებლად:

მევენახეთა რიცხვი უდრიდა 117,258; სავენახე მიწების სივრცე უდრიდა 45,839 დესეტინას; მოსული ყურძნის რაოდენობა—8,555,561 ფუთს.

უცხოეთში ჩვენი ღვინო არ გადის, მხოლოდ ორი შემთხვევა იყო ამ 30 წლის განმავლობაში, რომ ბათუმზე გაზიდეს: 1887 წ. 10,540 ფუთი და 1890 წ. 11,160 ფუთი.

ეს ღვინო დაბალი ხარისხის იყო და უცხოეთში უცხოეთის ღვინოებში შესარევად სჭირდებოდათ.

ვინაიდან ჩვენ ბევრი გვეკითხება: შეიძლება თუ არა ჩვენებური ღვინის უცხოეთში გასაღება და ბევრმა ჰაშნიკებიც გამოგვიგზავნა, ამიტომ საჭიროდ ვსთვლით გაცნობოთ მიზეზები, თუ რატომ არ გადის ჩვენი ღვინო უცხოეთში. ამის მიზეზები შემდეგია:

1. ჩვენებური ღვინო არ არის ისე კარგად დაყენებული, როგორც უცხოეთის;

2. ჩვენ ღვინოს უცხოეთში მეტოქეობას უწევს შემდეგი ქვეყნები: საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია, ესპანეთი, იტალია, ავსტრო-უნგრეთი, მადეირას კუნძული (აფრიკაში), ალჟირი (საფრანგეთის ახალშენი აფრიკაში) ავსტრალია და საბერძნეთი. ყველა ამ ქვეყნებში ღვინის დაყენება მეცნიერულად არის მოწყობილი და შედარებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ჩვენში;

3. უცხოეთში ღვინოების გასაყიდლად საჭიროა რეკლამა, რომელზედაც დიდი ფირმები ხშირად წლიურად 400,000 მანეთამდი ხარჯვენ. ვიდრე ჩვენში დიდი საზოგადოებანი არ შესდგებიან, რომელთაც შეეძლებათ სარეკლამო ხარჯების გაწევა, ჩვენი ღვინო უცხოეთში ვერ მოიპოვებს სახელს.

ასეთივე ბედი ეწვია სარაჯიშვილის კონიაკს, რომელიც გავასინჯვიეთ საუკეთესო მცოდნეთ და ყველამ საფრანგეთის კონიაკებს ამჯობინა, მაგრამ საფრანგეთის კონიაკს მეტოქეობა რომ გამოიწვიოს, საჭიროა რეკლამა.

საფრანგეთის კონიაკის ფირმამ მარტელმა ინგლისში კერძო სასახლეებსა და რესტორან სასტუმროებში პირველ წელიწადს, ვიდრე თავის კონიაკს ბაზარს მოუპოვებდა 140,000 მანეთის ბოთლი კონიაკი დაარიგა საჩუქრად.

4. უკანასკნელი მიზეზი არის სხვადასხვა სახელმწიფოში დაწესებული შესატანი ბაჟი.

მთელი უბედურება კი იმაშია, რომ ყოველწლივ ღვინის წარმოება იზრდება და ძლიერ მალე რუსეთის ბაზარი საკმარისი აღარ იქნება, ასე რომ ჩვენი მეღვინენი იძულებულნი იქნებიან უცხოეთშიაც გაზიდონ.

რომ ეს საქმე თანდათან განვითარდეს, შემდეგ წინადადებას ვაძლევთ ჩვენ მეღვინეთ:

უცხოეთის ყველა დიდქალაქებში დრო გამოშვებით იმართება გამოფენები. ჩვენი ფირმა თავის დროზე გაზეთების საშუალებით გაცნობებთ დროს, რის შემდეგაც გამოგზავნით ჰაშნიკებს, რომელთაც გამოვფენთ და აღებულ ქების ქაღალდებს და მედლებს, შემდეგში ძლიერ ადვილად გამოვიყენებთ სარეკლამოდ. ამნაირად ჩვენ ღვინოებს უცხოეთში სახელს მოუპოვებთ, რის შემდეგ გასაღება ადვილი საქმე იქნება.

იმედი გვაქვს ამ ჩვენს წინადადებას სერიოზულად მოეკიდებიან, ისინი ვისაც იგი ეხება, რადგან ეს საუკეთესო და ძლიერ იაფი საშუალებაა მიზნის მისაღწევად.

გარდა ამისა ისიც უნდა მიიღოთ მხედველობაში, რომ უცხოეთის გამოფენაზე დაჯილდოვებულ ღვინოს რუსეთშიაც ადვილად გაყიდით.

## 11. ჩ ა ი.

ამ ბოლო წლებში ჩაის მოყვანას უკვე ფართო ხასიათი ეძლევა და ჩვენი გლეხობა მას ენერგიულად ეტანება. ჩაის მოყვანას მისდევენ მარტო ბათუმის ოლქში და ოზურგეთის მაზრაში შავიზღვის პირას.

ჩაის მოყვანას დიდი მომავალი აქვს ჩვენში, რადგანაც მთელი რუსეთი საუკეთესო ბაზარს წარმოადგენს ამისათვის, რადგან ჩინეთიდან შემოტანილ ჩაიში შეიძლება არევა.

1911 წ. ჩაის მოშენება სწარმოებდა 664 დესეტინა მიწაზე. დამზადებული იქნა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1905 | წელს | 153,546 | გირვანქა ჩაი |
| 1906 | „ | 114,123 | „ „ |
| 1907 | „ | 66,263 | „ „ |
| 1908 | „ | 151,387 | „ „ |
| 1909 | „ | 137,384 | „ „ |
| 1910 | „ | 241,797 | „ „ |
| 1911 | „ | 213,593 | „ „ |

უცხოეთში ჩვენი ჩაი არ გაუზიდავთ და არც შემდეგში გაზიდავენ, რადგან რამდენიც უნდა მოვიდეს ჯერ ერთი, რომ სულ რუსეთს მოუნდება და მეორე ჩინეთის და ინდოეთის ჩაის მეტოქეობას ვერ გაუწევს.

თუ ამ დარგს შევეხეთ მხოლოდ სხვათა შორის.

## 12. კ ვ ე რ ც ხ ი.

მეურნეობის ამ დარგს ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს გაუზიდავთ:

| | | |
|---|---|---|
| სამტრედიიდან | 18,000,000 | კვერცხი |
| აბაშიდან | 1,600.000 | „ |
| სენაკიდან | 1,900,000 | „ |
| ქუთაისიდან | 600,000 | „ |

მარტო ხონისა და სამტრედიის რაიონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აგენტების საყურადღებოთ.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციის კანტორა აგენტების საყურადღებოთ აცხადებს, რომ პირველი მარტიდან ყოველგვარი მიწერ-მოწერა და ფული გამოგზავნონ რედაქციის სახელზე. გაუიდული გაზეთების ფული უნდა გამოიგზავნოს ორ კვირაში ერთჯერ, ხოლო დაწვრილებითი ანგარიში და გაუყიდველი გაზეთების უკან დაბრუნება არა უგვიანეს დამდეგი თვის სამი რიცხვისა.

# კერძო დეპეშა.

ქუთ. გუბერნ. თავად-ზნ. წინამძღოლმა, დავით ოტიას ძე ნიჟარაძემ მოსკოვის ქართველთა საზოგადოების თავჯდომარის თ. ალექ. სუმბათაშვილისგან პროვოკაციული დეპეშის გამო, შემდეგი შინაარსის ტელეგრამა მიიღო.

გერმანელი ემისარის პროვოკაციული დეპეშა, გამოაშკარავებული რუსეთის სააგენტოსგან, რომელიც სავსეა საზიზღარი ცილისწამებით და ინსინუაციებით, მოსკოვის ყველა ქართველებში საშინელ გულისწყრომას იწვევს უპატიოსნო მტრის საქციელისადმი. მოსკოვის ქართული საზოგადოება სთვლის თავის უწმიდეს მოვალეობათ გამოუცხადოს თქვენ ბრწყინვალებას მტკიცე რწმენა, რომ ყველა ქართული საზოგადო და კულტურული საზოგადოებანი და ორგანიზაციები შეერთდენ, გამოუცხადონ ზიზღი გერმანიის ჯაშუშის პროვოკაციულ საქციელს, რომელსაც ოდნავაც კი არ შეუძლია შეეხოს ქართველების საუკუნოებით გაჰქედილ ლოიალობას თავის ასი ათასი შვილის სისხლით განბანილ წმიდა შეგნებას თავის მოვალეობისას.

მოსკოვის ქართველი საზოგადოების თავჯდომარე თავადი ალექსანდრე სუმბათაშვილი.

დეპუტატმა ნ. ჩხეიძემ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა მინისტრთა თავჯდომარეს, სამხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრებს და სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარეს.

მთელ ქართველ ხალხში დიდი აღელვება და გულის წყრომა გამოიწვია გერმანელ ემისარის დეპეშის პეტროგრადის სააგენტოსაგან უკომენტარიოთ გამოქვეყნებამ.

სახელმწიფო სათათბიროს წევრი ნ. ს. ჩხეიძე.

# ახალი ამბავი.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ქალაქის გამგეობის მიერ ხორცსა და პურზე ნიხრი უკვე დაამტკიცა.

✦ დ. ხონის სავაჟო პროგიმნაზიაში მისაღები გამოცდები დანიშნულია 16, 17 და 18 მარტს. მოწაფეებს 14 მარტს ითხოვენ.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ნაკადულის“ მორიგი თებერვლის მე-4 ნომერი. ნომერი ჩვეულებრივათაა გამოცემული.

დღეს, 12 მარტს, ქალაქის თეატრში, ქართ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება იოსებ გედევანიშვილის ცნობილი დრამა „გამცემი“ და ივანე გომართლის ორიგინალური კომედია „დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრი“. მონაწილეობას მიიღებს: ქქ. მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, მ. ქელარჯიშვილი, ბ.ბ. არადელი-იმნელი, ყალაბეგიშვილი, მურუსიძე და სხვანი.

✦ კვირას, 15 მარტს, დ. ხარაგოულში დანიშნულია ადგილობრივ სამკითხველოს წევრთა წლიური კრება.

✦ 10 მარტს, ქუთაისის ყველა სასწავლებლებსა და საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნა პარაკლისი, ძლევა-მოსილი რუსის მხედრობისაგან პერემიშლის აღების გამო. ქუჩებში გამოკიდებული იყო სადღესასწაულო ბაირაღები.

✦ როგორც გურიიდან გვწერენ, იქ ვიღაც ბოროტგამზრახველებს გაუვრცელებიათ ხმა, ვითომც წელს აბრეშუმის პარკს გასავალი არ ექნებაო. ამის გამო, მცხოვრებლებს თუთის ხის ტოტები დაუჭრიათ.

✦ კვირას, 15 მარტს, ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგება მდაბიო მოქალაქეთა კრება. გასარჩევი საგნებია: 1) დამტკიცება ხარჯებისა სამართველოს შესანახათ და 2) პარკის ამკრეფის არჩევა.

✦ ამას წინათ დ. ჩოხატაურში შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია საკითხები შიმშილობის შესახებ. ხსენებულმა კომისიამ გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა დამშეულ სოფლებს დახმარება აღმოუჩინონ.

✦ მაია ნიშნიანიძისა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 11 ამა მარტს, მას დაეკარგა წიგნაკი, რომლის ძალითაც ქალაქის გამგეობიდან იღებდა დახმარებას, როგორც წევრი ომში გაწვეულ ჯარის კაცის ოჯახისა. მპოვნელს თხოვს ეს წიგნაკი გადასცეს „სამშობლოს“ რედაქციას.

✦ 7 მარტს, დ. ახალ სენაკში გაიმართა აკაკის საღამო. საღამომ კარგათ ჩაიარა, ხალხიც ბლომათ დაესწრო.

8 მარტს, სალიტერატურო საღამო გაიმართა დ. სამტრედიაში.

✦ ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა 10 მარტს, ოქმი შეუდგინა გიორ. ლეჟავას, თავის სახლში საქონლის დაკვლისათვის.

✦ ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ ჩიქოვანმა 9 მარტს პურის ზედმეტ ფასში გაყიდვისათვის ოქმები შეუდგინა: ს. ფოფხაძეს, ქრ, ფოტიადის, მარკოზ ბარაბაძეს, ს. ჭელიძეს, თეოფილე იმედაძეს, ბ. იმედაძეს, მ. მურუსიძეს, ლ. ჭელიძესა და სხვებს.

✦ **გრიგოლ ჩარკვიანის წარმოდგენა.** პარასკევს, 13 მარტს, ქართველ მსახიობთა ამხანაგობა გამართავს იაფფასიან წარმოდგენას, ჩვენი სცენის ძველი მუშაკის, უკვე დაავადებულის მსახიობის, გრიგოლ ჩარკვიანის სასარგებლოთ. წარმოდგენილი იქნება ყაზბეგის ცნობილი პიესა „ყაჩაღი არსენა“ და ვოდევილი „მონადირე“.

იმედია საზოგადოება ამ წარმოდგენას დაესწრება და ოდნავ მაინც გამოიყვანს ჩვენი სცენის ავათმყოფ მსახიობს, იმ გაჭირვებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც დღეს ის იმყოფება.

# ცაგერის სამკითხველო.

მართალია, ლეჩხუმი განათლების მხრივ ჩამორჩენილია საქართველოს სხვა კუთხეებზე, მაგრამ წერა-კითხვის მცოდნე და ისეთი პირები, რომელთაც სწყურიათ თვალ-ყური ადევნონ ყოველ-დღიურ ცხოვრებას—იქაც ბევრი მოიპოვება. დიახ, სწყურიათ, მაგრამ რით მოიკლან წყურვილი? დაბა ცაგერში არსებობს უფასო სამკითხველო. ე. ი. სიმართლე, რომ ვსთქვათ—არსებობს სახლი, რომელსაც აწერია გარედან „სამკითხველო“. შიდ თუ შებრძანდებით—დაინახავთ რამოდენიმე სკამსა და მაგიდას, რომელზეაც აგდია ორი ადამის დროის გაზეთი: ერთი რუსული, მეორე ქართული. იქავე ძევს დამტვრეული საწერელი და კალმის ტარი უკალმოთ. ადამიანს შიდ ვერ დაინახავთ დიოგენის ფარნითაც რომ ეძებოთ. ორი საათიდან კი მოწაფე ბავშები დაიწყებენ დენას სამკითხველოსკენ. როდესაც თავს მოიყრიან—დაიწყებენ თამაშს, იმღერიან, მაგიდაზე ხტიან, სკამებს ამტვრევენ; ზოგნი კი უწმაწურ სიტყვებს აჭარგავენ ობოლ გაზეთებს, მაგიდასა და კედლებს.

კედელზე ჰკიდია დიდებული ილიას სურათი. ბუმბერაზ პოეტს წარბი შეუკრავს და გულ მოკლული დასცქერის ამ გულის ამღვრევ სანახაობას.

როგორც გავიგე, ახალ გაზეთებს ოჯახებში ანათხოვრებენ და თუ არ დაიკარგენ, საარხივოთ, რომ გახდებან—მაშინ შეიტანენ „ამ ვითომ და სამკითხველოში“.

საჭიროა, რომ წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და გამონახოს ისეთი ადამიანი, რომელიც პირნათლათ შეასრულებს თავის მოვალეობას.

**ალექსანდრე ახლანიკაშვილი.**

# რაში ვართ დამნაშავე?!.

(შემდეგი იხ. „სამშ.“ № 32).

არჩეულმა პირებმა შეასრულეს ჩვენი დავალება და ინსპექტორიც შეპირდა (ეს იყო 1914 წ. ივნისში) 1914-15 სამოსწავლო წლის დასაწყისიდან აუცილებლათ ახალ კარგ მასწავლებელს გამოგიგზავნითო, და თან დასძინა, რომ: „ჩვენც გატყობთ, ლექვინაძე არვარგაო“. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, [illegible] ეს გავიგეთ, მაგრამ მოაწია სამოსწავლო დრომ და, ჩვენდა [illegible] ის „პედაგოგი“ გვეწვია მუქარით: „ჩემს მომჩივნებს ყველას ციმბირში გავგზავნიო“. გავაკეთეთ ისევ თხოვნა, მოვაწერეთ სოფელმა ხელი და გავუგზავნეთ ინსპექტორს, რომელშიაც, სხვათა შორის, ვწერდით: „თუ ჩვენი სამართლიანი თხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული,—ჩვენდა სამწუხაროთ, ჩვენ იძულებული ვიქნებით სულ არ გავუშვათ შვილები სასწავლებელშითქო“. ამის შემდეგ კიდევ ინახულა სასწავლებლის მზრუნველმა ბ-ნმა სოლომონ წერეთელმა ინსპექტორი, რომელმაც ხელმეორეთ აღუთქვა 1915 წლის იანვრიდან მოგაცილებთო.

არა თუ მოვიდა,—გავიდა აგერ კიდეც იანვარი და ისევ ის „პედაგოგი“ ამშვენებს ჩვენს უბედურ სკოლას. არც სამზრუნველოს დაუკრეფია გულზე ხელები ამ ხნის განმავლობაში, და რადგან „პედაგოგმა“ ნებით არ ისურვა ანგარიშის ჩაბარება, 1914 წლის 2 აგვისტოს თხოვა ბ-ნ პირველი რაიონის ინსპექტორს მოეხდინა განკარგულება ანგარიშის ჩაბარებისა, რადგან ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ ლექვინაძეს სასწავლებლის ფულები აქვს შეჭმულიო. ინსპექტორმა სიტყვიერათ შეპირდა სამზრუნველოს ერთ-ერთ წევრს, რომ ის ყოველივეს გამოარკვევდა.

ამის შემდეგ გადის სამი თვე და არავითარი განკარგულება არა სჩანს. 28 ოქტომბერს, 1914 წელს, სამზრუნველო დირექტორს უგზავნის თხოვნას, სადაც მოყავს 1913 წლის სკოლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, საიდანაც სჩანს ლექვინაძის გაფლანგული ფულები და თხოვს ეს ფულები გადახდევინონ ლექვინაძეს.

გადის კიდევ სამი თვე და არავითარი განკარგულება არა სჩანს. ამის შემდეგ ჩვენ იძულებული გავხდით სოფლის სამმართველოს ყრილობაზე დაგვედგინა: რადგანაც ლექვინაძე ჩვენს ამორჩეულ სამზრუნველოს არ სცნობს და არ აძლევს ანგარიშს და ჩვენგან სასწავლებლის მოთხოვნილებისათვის გადახდილ ფულების ნაწილს მის საჭიროებაზე ხარჯავს, ამავე დროს სასწავლებლის მევალეებს არ უსწორდება და ერთხელ გადახდილ ფულს ხელმეორეთ ვიხდით,—ამისათვის ჩვენგან გადახდილი ფულები ხსენებული სასწავლებლისათვის არ შევიდეს ხაზინაში,ვიდრე ლექვინაძე ხსენებული სასწავლებლის ზედამხედველათ იქნება და დარიგდეს აქვე,—სოფლის სამმართველოში, თანახმათ სამზრუნველოს ჩვენებისა.

„ეს დადგენილება ეცნობოს სამასწავლებლო მთავრობას“.

საყურადღებოა ვიცოდეთ: 1) თუ მართალია ბ-ნი ინსპექტორის სიტყვები, რომ ისიც ატყობს ლექვინაძე არ ვარგა, და

---

ში წლიური შემოსავალი ამ დარგიდან უდრის 600—700 ათას მანეთს.

უცხოეთში კვერცხები პირდაპირ იშვიათად იზიდება, ვინაიდან ბათომიდან მიმავალ უცხოეთის გემებს არ აქვთ მოწყობილი საყინულე. დიდძალი კვერცხი იზიდება მარსელში ან ოდესაზე.

ამ საქონლის პირდაპირ უცხოეთში გაზიდვა შეიძლება კარგად მოეწყოს მხოლოდ ოქტომბრიდან მარტამდი, როდესაც ცივა. (ამის შესახებ იხილეთ ჩვენი წერილები „სასოფლო გაზეთში“ 1913 წ.)

## 13. ნავთი.

ნავთი არ არის პირდაპირ ჩვენი ქვეყნის ნაწარმოები და აქამდე ჩვენ სამშობლოში ჯერ ნავთის გამოყენება არ მომხდარა, მაგრამ ბაქოს ნავთი ყოველთვის იზიდებოდა და იზიდება ბათომზე და ამისთვის ჩვენი ეროვნულ ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამისთვის საჭიროა ამ დარგსაც შევეხოთ.

ბათომზე:

| წლები. | ფუთი. |
|---|---|
| 1884 | 5,146,000 |
| 1885 | 6,510,000 |
| 1886 | 10,470,784 |
| 1887 | 16,286,000 |
| 1888 | 27,920,212 |
| 1889 | 40,243,270 |
| 1890 | 43,775,720 |
| 1891 | 49,297,936 |
| 1892 | 57,742,336 |
| 1893 | 64,701,960 |
| 1894 | 57,478,644 |
| 1895 | 59,378,082 |
| 1896 | 42,087,088 |
| 1897 | 57,843,830 |
| 1898 | 61,761,300 |
| 1899 | 72,301,610 |
| 1900 | 65,071,046 |
| 1901 | 74,039,284 |
| 1902 | 76,514,386 |
| 1903 | 77,277,172 |
| 1904 | 77,095,512 |
| 1905 | 36,763,024 |
| 1906 | 29,153,454 |
| 1907 | 37,073,582 |
| 1908 | 43,252,068 |
| 1909 | 47,999,966 |
| 1910 | 39,994,260 |
| 1911 | 36,906,802 |
| 1912 | 33,834,950 |

ბათუმზე უცხოეთში გაზიდული ნავთის ღირებულება 1884—1912 წ. ე. ი. 29 წლის განმავლობაში დაახლოვებით უდრის: **800 მილიონი მანეთს.**

ყველამ იცის, თუ რა მნიშვნელობა ქონდა ბათომზე ნავთის გაზიდვას ჩვენი ქვეყნისათვის.

1887 წ. დაარსდა როტშილდის ქარხანა ბათომში და იმ დროიდან მოკიდებული ვიდრე 1903 წ. ბოლომდე ბათომის ყველა ქარხნებში და ნავსადგურში მუშაობდა 5,000 ქართველი მუშა, უმეტესად გურიიდან და სამეგრელოდან.

დაახლოვებით, რომ ვიანგარიშოთ, ყოველ-წლიური შემოსავალი ჩვენი მუშებისა და ვაჭრებისა გამოვა არა ნაკლებ **სამი მილიონი მანეთისა**, ე. ი. 1887—1903 წ. 16 წ. განმავლობაში—**48 მილიონი მანეთი.**

1903 წ. დაიწყო გაფიცვები, რასაც საპატიო მიზეზები ქონდა. მუშების უმთავრესი პირობები დაკმაყოფილებულ იქნენ, მაგრამ ერთხელვე მუშაობაზე გულ-აცრუებულნი ვეღარ შესჩერდენ და გაფიცვა ბოლშობიათ გადააქციეს.

1904 წ. ბათომის გაფიცვებს ხელი შეუწყო ბაქოს მუშების გაფიცვებმა, ამას თან მოჰყვა საერთო მღელვარება რუსეთში, რუსეთ-იაპონიის ომი. დამოკიდებულება ისე გამწვავდა, რომ როტშილდის ქარხნების დირექციამ გადაწყვიტა ქარხნების დახურვა. სამაგიეროდ გადაიტანა ალექსანდრიაში (ეგვიპტეში), სადაც ეს ქარხანა ამ ჟამად ყოველ დღე 20,000 ნავთის თუნუქის ყუთს ამზადებს.

ამ ნაირად 5,000 ქართ. მუშა ულუკმა პუროდ დარჩა, 3 მილიონი მანეთის შემოსავალი წლიურად ჩვენ ქვეყანას დაეკარგა.

ამის შედეგი ჩვენთვის ძლიერ ტრაგიკული გამოდგა. ქალაქის ცხოვრებას მიჩვეული დათხოვნილი მუშა დაუბრუნდა უკან გურია-სამეგრელოს სოფლებს, მაგრამ იქ აბა რა უნდა ეშოვა. ბევრი მათგანი შემდეგ წლებში „ექსპროპრიაციებს“ მიეტანა და საუკეთესო ახალგაზრდობამ ცივი ციმბირი ხანგრძლივ ბინად გაიხადა.

ამ სამწუხარო მოვლენამ ხაზგასმით დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ სიზმარში ვიყავით და ცხოვრების ალღო სრულიად ვერ ავღეთ.

## 14. სხვა და სხვა საქონელი.

აქამდი ჩამოვთვალეთ ის საქონელი, რომელიც უმთავრესად ჩვენი ქვეყნიდან იზიდებოდა და ჩვენი ქვეყნისავე ნაწარმოებია. ახლა შევეხებით იმ საქონელს, რომელიც გააქვთ ბათუმსა და ფოთზე, მაგრამ უმეტესად თურქესტანისა და სპარსეთის ნაწარმოებია და ჩვენში მხოლოდ გზად მოდის.

ეს საქონლები შემდეგია: პურის ხორბალი, ლობიო, ნიგოზი, თხილი, ქიშმიში, ნუში, მარილი, თევზი, ძაძა, სელის თესლი, მზე-უმჭვრიტა, ბალახის თესლეულობა, ბალინჯოს მოსაკლავი ფხვნილის გამხმარი ყვავილები, სატყეო მასალა, კასრების ფიცრები, ცხვრის ტყავი, ხარის ტყავი, ხალიჩები (ბუხარის და სპარსეთის) და სხვა წვრილმანი საქონელი.

ამაშივე შედის საქონელი, რომელიც ჩვენი ქვეყნის გარეშე ამიერ-კავკასიის კუთხეებიდან მოდის.

გაიზიდა უცხოეთში:

| წლები. | ბათომზე: ფუთი. | ფოთზე: ფუთი. |
|---|---|---|
| 1884 . . . | 423.800 | 284.000 |
| 1885 . . . | 434.000 | — |
| 1886 . . . | 2.233.860 | 3.045.564 |
| 1887 . . . | 744.000 | 2.444.908 |
| 1888 . . . | 4.220.774 | 854.174 |
| 1889 . . . | 1.813.500 | 108.810 |
| 1890 . . . | 969.804 | 438.340 |
| 1891 . . . | 658.936 | 252.030 |
| 1892 . . . | 919.584 | 21.452 |
| 1893 . . . | 385.578 | 20.460 |
| 1894 . . . | 457.436 | 1.922 |
| 1895 . . . | 103.912 | — |
| 1896 . . . | 133.424 | 2.976 |
| 1897 . . . | 106.950 | — |
| 1898 . . . | 77.394 | — |
| 1899 . . . | 551.800 | — |
| 1900 . . . | 556.140 | 1.984 |
| 1901 . . . | 5.309.184 | 806 |
| 1902 . . . | 156.284 | 902 |
| 1903 . . . | 188.480 | 2.170 |
| 1904 . . . | 715.418 | 44.020 |
| 1905 . . . | 464.884 | 4 588 |
| 1906 . . . | 168.392 | 4.712 |
| 1907 . . . | 425.196 | 2.232 |
| 1908 . . . | 786.656 | 3.038 |
| 1909 . . . | 2.686.476 | 33.046 |
| 1910 . . . | 1.248.804 | 2.232 |
| 1911 . . . | 1.374.850 | 88.660 |
| 1912 . . . | 1.950.210 | 520.862 |

ორივე ნავსადგურიდან უცხოეთში გატანილი საქონლის ღირებულობა 1884—1912 წ., ე. ი. 29 წლის განმავლობაში დაახლოვებით 90 მილ. მან. უდრის.

გატანილი საქონლის რაოდენობა ყოველწლიურად არა თანაბარია.

ამით ვათავებთ ჩვენი ქვეყნის გასაზიდი (საექსპორტო) ვაჭრობის მიმოხილვას.

სტატისტიკური ცნობები აღებული გვაქვს ინგლისის საგარეო სამინისტროს წლიური ანგარიშებიდან. ეს ანგარიშები იწყება 1884 წ.

ცნობა თამბაქოს და ჩაის შესახებ აღებული გვაქვს „კავკასიის კალენდრიდან“.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბათომის ოლქი რუსეთის მართებლობამ ჩამოართვა ოსმალეთს 1878 წელს, ჩვენი მიმოხილვა თითქმის თავიდანვე იწყება, ე. ი. როდესაც რკინის გზა ბათომამდე გაიყვანეს.

რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნიდან ყოველწლიურად დიდძალი საქონელი იზიდება რუსეთში, მაგრამ ეს საკითხი ჩვენი ახლანდელი გამოკვლევის საგანს არ შეადგენს.

აგრეთვე ჩვენ ქვეყანაში გზად მოდის სხვადასხვა საქონელი თურქესტანიდან და სპარსეთიდან. სპარსეთიდან გამოზიდვას ძლიერ ხელს შეუწყობს ახალი განკარგულება, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა და რომლის ძალითაც სპარსეთიდან უცხოეთში გასაზიდი საქონელი ბაქოში უბაჟოთ შეუძლიათ შემოიტანონ.

აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ თურქესტანიდან და სპარსეთიდან ბათუმზე საქონლის გადმოზიდვაში ჩვენები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, ეს გაზიდვის ვაჭრობა (ტრანზიტი) მომავალში ძლიერ გაიზრდება და საჭიროა მას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

**დავით ლამბაშიძე.**

(შემდეგი იქნება.)

## საყაჭრო სახლი

## „ი. გოკიელოვის შ—ბის“

## ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცე-მულ მეაბრეშუმეთა და თეს-ლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი

## ნ. ხრისტოდულიდის

## მიღებულია.

ვინც თესლს შეგვიკვეთს ათ მარტამდი არა ნაკლებ [illegible] მელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი [illegible] 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.


მასთან ამდენი ხანია ჩვენს ამორჩეულ კაცებს პირდება, რისთვის არ გვაცილებს?! 2) როდემდის უნდა ვიყვეთ ასეთ მდგომარეობაში?! 3) რა მიზეზია რომ საზოგადოების ფულების გამფლანგველს არ აიძულებენ ანგარიში ჩააბაროს საზოგადოების ამორჩეულ პირებს?! 4) რაში ვართ დამნაშავე?! იმაში ხომ არა, რომ ლექვინაძე არ ვარგა?! მაშ რით ავხსნათ, რომ უვარგისს სამუდამოთ არ გვაცილებენ?! ემელიანე ცაგარეიშვილის და მ. ბახტაძის მასწავლებლათ ნამყოფ სასწავლებელს ასეთი პარაზიტი უნდა „ამშვენებდეს“?!

ვსთხოვთ ადგილობრივმა პრესამ გამოთქვას ამ კითხვის შესახებ თავისი აზრი და შესაფერი დარიგება მოგვცეს.

ერთი მშობელთაგანი.

## დამატებითი სია

ომში დაჭრილი ქართველ ჯარის კაცებისა.

**მოსკოვში იმყოფებიან:**

ბესარიონ თადეოზის ძე ჩხეტია, ქუთ. გუბ., სენაკის მაზრა, სოფ. ეკა. სიმონ სიმონის ძე გოცაძე, ქუთ. გუბ., შორაპნ. მაზ. სოფ. ყვირილა. ნიკიფორე ალექსანდრეს ძე ფხაკაძე, ქუთ. გუბ. სოფ. ფარცაკანა. გიორგი ალექსანდრეს ძე ქაჯაიშაძე, ქუთაისი, დ. ხონი. ერმილე კონსტანტინეს ძე ვაშაკიძე, ქუთაისი, ს. ვანი. სოლომონ ილარიონის ძე ბენიძე, ქუთაისი, ს. აბანო. ტარასი პავლეს ძე გოგლიჩიძე, ქუთაისიდან. ზაქარია იოსების ძე კავლაშვილი, ქუთ. გუბ., რაჭ. მაზ., ს. შავიუბანი. სიმონ იოსების ძე კავტარო, ტფილისის გუბ., დუშეთის მაზ., ს. ფასანაური. იასონ სიმონის ძე აკოფაშვილი, ტფილ. გუბ., სიღნაღის მაზ., ს. მელაანი. გიორგი ქაიხოსროს ძე კედენიძე, ქუთაისი, ს. აბანო. სტეფანე ელიზბარის ძე გუგუშვილი, ქუთ. გუბ., სენაკ მაზ., ს. ეცერი. პავლე ზურაბის ძე ჯანგირაშვილი, ტფილ. გუბ., თიანეთ. მაზ., ს. ზემო თიანეთი. სიმონ ბეროს ძე წამალაძე, ტფილ. გუბ., დუშეთის მაზ., ს. მუხურა, ეპიფანე შალვას ძე ტეფნაძე, ქუთ. გუბ., შორაპნ. მაზ. დ. საჩხერე. ვლადიმერ სამსონის ძე ტბალაძე, ქუთაისი, ს. საყულევი. ალექსანდრე იაკობის ძე ჩიმაკაძე, ქუთაისი, ს. სატხოტი. ნიკიფორე პავლეს ძე დონდუა, ქუთაისი, ს. საჭილაო. ავქსენტი ანტონის ძე მაისაია, ქუთ. გუბ., ზუგდ. მაზ., ს. ბანძა. გრიგოლ გიორგის ძე ცაგანია, ქუთაისი, ს. ონეკა. სპირიდონ იოსების ძე ჩაგელიშვილი, ქუთაისი, ს. ქიორა. ბიქტორ დიმიტრის ძე კეთილაძე, ქუთაისი, ს. აბანო. ვასილ ლეონტის ძე ნიკოლაძე, ქუთაისიდან. ივანე იაგორის ძე თვაური, ტფილ. გუბ., დუშეთის მაზ., ს. პოლიხრიტი. ალექსანდრე მურზაყანის ძე ნარაკიძე, ქუთ გუბ., ზუგდ. მაზ., ს. დარჩელი. გიორგი დავითის ძე, კობალია, ქუთ. გუბ., ზუგდიდ. მაზ., ს. მერხეული. ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ბექალაშვილი, ტფილ. გუბ., თელავის მაზ., ს. ყვარელი. საჩინო ფილიპეს ძე გვაზავა, ქუთ. გუბ., სენაკის მაზ. ს. აბაშა. თედორე კაპიას ძე უბილავა, ქუთაისი, ს. ჩიმურხატი. ივანე იოსების ძე არუთინაშვილი, თბილ. გუბ., სიღნაღის მაზ., ს. ჯიმითი.

წერილების გამოგზავნა და სხვადასხვა ცნობების შეტყობა დასახელებულ დაჭრილების შესახებ შეიძლება შემდეგი მისამართით:

Москва, Поварская ул., № 29, грузинскій лазаретъ ნ. ლორთქიფანიძეს.

დიდ მადლობას ვუხდით ძმ. რუხაძეთ გაზეთების გამოგზავნისთვის.

ნ. ლორთქიფანიძე.

## დაბა-სოფელი.

**ხარაგოული.** (ზემო იმერეთი). ხარაგაულის რაიონის სოფლები ზემო იმერეთს ეკუთნის. გაზეთებში აქიდან შიმშილობის შესახებ კრინტიც არ არის დაძრული მაშინ, როდესაც, ამ რაიონის სოფლები, ქვემო იმერეთისა და სამეგრელოს სოფლებზე უარეს თუ არა, უკეთეს მდგომარეობაში მაინც არ არიან სურსათის მხრით. შარშან ჩვენში, სიმიდის ცუდ მოსავალს, ვენახების სეტყვისაგან განადგურებაც თან დაერთო და მცხოვრებლები სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ბათმანი სიმიდი, ჯერ კიდევ შობამდი, იყიდებოდა ოთხ აბაზათ და დღეს აღარც ამ ფასში იშოვება, რადგანაც გასაყიდი სიმიდი მახლობელ სოფლებში არსად ჩანს და ორი—სამი ბათმანის სასყიდლად საწყალი გლეხი შორს ვერ მიდის, და ბევრის ყიდვის თავი ერთბაშათ, უსახსრობის გამო, არ შეუძლია. მიკვირს ძლიერ აქაური ხალხის ჭირისუფლები, რატომ არაფერს ფიქრობენ ამ საქმის თაობაზე და გასასყიდელ სიმიდს არ მიაწოდებენ ხალხს.

ამ რაიონის, ლელვნის საზოგადოების სოფლების მცხოვრებნი, მეტათ დიდ შევიწროებას განიცდიან სახელმწიფო ტყის მცველებისაგან და მათი უფროსისაგან. უბრალო, ნაყარი ფარჩხის გამოტანის ნებასაც არ აძლევენ საწყალ ხალხს. ეს ფარჩხი ხომ ტყუილა უბრალოთ ლპება ტყეში და ნუ თუ ის არ სჯობია, რომ ხალხმა იმით ისარგებლოს? მაგრამ...

ყველა ეს ტყე, რომელსაც დღეს სახელმწიფოს ეძახიან, ადგილობრივ მცხოვრებლებისა იყო, მაგრამ, პირველი გამიჯვნის დროს, რომელიც ამ ორმოცი წლის წინათ მოხდა, გლეხებმა არავითარი დავა არ განაცხადეს:

„ჩვენც სახელმწიფო გლეხები ვართ და ტყეები სახელმწიფო იყოსო, რა გვიჭირს მერე ამითიო“ და ახლა კი, როდესაც ფარჩხის გამოტანის ნებას აღარავინ აძლევს მ თ დიდათ ნანობენ და თავის უწინდელ გულუბრყვილო მოქმედებას სწყევლიან, მაგრამ ახლა გვიანღა არის სინანული და გოდება.

ტყის მცველები და მათი უფროსიც ყველა ჩვენიანებია, მათ კარგათ იციან ჩვენი ხალხის ავლა-დიდება და ამიტომ კარგი იქნება კანონით, რაც ერგებათ და რაც ტყუილა უბრალოთ ლპება ტყეში, მითი სარგებლობის ნებას მაინც მისცემდენ ხალხს.—

მ. ფარცხნალელი.

## პასუხად გ. მაღალ-მიწელს!*)

გაზეთ „ახალ-აზრის“ წარსული წლის 38-ე ნუმერში მოთავსებული იყო წერილი სოფ. სამიქავოდან „მაღალ-მიწელის“ ფსევდონიმით, რომელიც ეხებოდა, სხვათაშორის, ჩემს პიროვნებასა და საქციელს.

სიმართლის აღსადგენად, მსურს პასუხი გავსცე, რომ პირნათლად ვიქნე ჩემს მრევლთან და ჩემს თანამემამულეებთან. ფაქტების აღნიშვნით მკითხველი თვით მიხვდება, ვინაა ჩვენ ორში მართალი.

— აი საქმის შინაარსიც: სოფელ სამიქავოში დიდიხანია, რაც არსებობს ორ კლასიანი სამრევლო სასწავლებელი, რომელიც დაარსებულია მამიჩემის მღვ. ბოკერიას მიერ სწორეთ იმ დროს, როდესაც გურია-სამეგრელოს ეპარქიაში იშვიათად მოიპოებოდა სამრევლო სასწავლებელი სოფლად, და თუ არსებობდა და იყო ისიც ათამდი. განსვენებულ მამაჩემის სიკვდილს შემდეგ კი სამრევლო სასწავლებელს განაგებდა მღ. თ. კარანაძე, რომელმაც თავის შრომა და ღვაწლი არ დაიშურა მის ასაღორძინებლად.—1912 წელს გურია სამეგრელოს ეპარქიის საბჭომ განკარგულება მოახდინა შესახებ ხსენებულ სასწავლებლის შენობის გადაკეთებისა, რადგან არ იყო შესაფერი შენობა და ვერც ბავშები თავსებოდენ შიგ. საბჭომ აღგვითქვა დაგვეხმარებოდა ნივთიერად ერთდროულათ 400 მანეთს, იმ პირობით კი, თუ დროზე შენობას ავაგებდით და თუ ამას ვერ მოვახერხებდით, იმ შემთხვევაში სასწავლებელი გადაქონდათ სხვა ახლობელ სოფელში და ამით ეკარგებოდა სოფლელებს თავისი სასწავლებელი და მასთან მასწავლებლების ჯამაგირიც, რომელსაც ხაზინა აძლევდა სამ მასწავლებელს 750 მ. ყოველ წლივ! როდესაც გამწვავდა სოფელში ამ სასწავლებლის შენობის აშენების საკითხი, თუ როგორ უნდა მოგვეწყო და ან რა გზას დავდგომოდით. ამავე დროს ჩვენ საწინაამდეგოთ გამოილაშქრა ზოგიერთმა პირმა და უარი განაცხადა შენობის აგებაზე და მათთან ერთად ბ. მაღალ მიწელმაც, რომელიც უკარნახებდა ხალხს, რომ ეს სასწავლებელი არ ვარგა, მას არაფერი სარგებლობა არ მოაქვს და სხვა... ამას ქადაგებდა ის ადამიანი სწორედ, რომელმაც თვით ზემოდ დასახელებულ სასწავლებელში ისწავლა, თუ რომ ცოდნა აქვს მას დღეს შეძენილი და აი, ასეთ ადამიანს უნდოდა ასეთი ძვირფასი სწავლაგანათლების შენობის ბჭე სამუდამოთ მოეხშო ხალხისათვის, მაგრამ ჩვენ ამით მაინც გული არ გაგვიტეხია. ხალხის სურვილს ნელნელა ვაკმაყოფილებდით. ამ დროს უეცრივ მეორე გამგე მღ. კარანაძე გარდაიცვალა და ყოველივე საქმე სასწავლებლის მე დამაწვა ტვირთად და გადავსწყვიტე სასწავლებლის საქმე როგორმე მომეგვარებია, გავუძღოლოდი წინ და მე მეიავა იმის შენობის კედლების აშენება! მით უმეტეს, როგორც მზრუნველი ამავე სასწავლებლის, მეორე, როგორც ადგილობრივი მოძღვარი და მესამე, როგორც ამ საზოგადოების წევრი და სხვა. მოხდა ხალხის ყრილობა, რომელმაც აირჩია ამშენებელთა კომისია, რომელ კომისიაშიც შევდიოდი მეც. ვნახეთ მოიჯარადრე, რომელსაც გაურიგდით ხელწერილობის ჩამორთმევით ორი ათას მანეთათ. იმ პირობით, რომ ძველი სახლის შენობის მასალა 500 მანეთში უნდა თვითონ მიეღო. ასე ამრიგათ საქმეს ავათ თუ კარგათ მიუძღოდი ხალხში. გავაწერეთ ხალხს შეძლებისდაგვარად 5—10 მ.-დი და მე თვით მოხუცი სამოცი წლის მღვდელი დავიარებოდი ხალხში და ვაგროვებდი ფულს, მიღებისას კი ვიძლეოდი კვიტანციის ფურცლებს. ბატ. მაღალმიწელმა რომ ჩვენი საქმიანობა არად ჩათვალა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ წარსული წლის აგვისტოს რიცხვებში (დღე არ მახსოვს როდის იყო) ჩვეულებისამებრ ერთ სადამოს თავის ამქრებით მომეჭრა ჩემს საკუთარ სახლში და ანგარიშს მთხოვდა! და თითქმის იქამდისაც კი მივიდა იმის აღვირახსნილი თავხედობა, რომ ფიზიკურათ შეურაცხყოფის მოყენება დააპირა, ხოლო როდესაც შევატყვე მას აღელვება, მოვიტანე წიგნაკები და ვუჩვენე ყოველივე შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. გამოირკვა შემდეგი: ხალხში შევაგროვეთ 934 მან. მთავრობა შემოგვეწია ერთ-დროულად 400 მან. და ძველი შენობის საფასური პირობისამებრ—500 მან. სულ—1834 მ. მოიჯარადრეებს კი მიღებული ქონდა 1713 მან., ჩვენ გვქონდა მოკრეფილი ფულებიდან 121 მან. და კიდევ იყო მოსაკრეფი 166 მან., როდესაც ბ. მაღალმიწელი დარწმუნდა დარჩენილ ფულების რაოდენობას, თხოვნა დამიწყო, რომ მისთვის გადამეცა! მაგრამ მე ცივი უარი ვუთხარი და უპასუხოთ დავსტოვე. როგორც სასწავლებლის მზრუნველი და ამშენებელთა კომისიის წევრი მე მქონდა უფლება ფულების გაწსრიგებისა სასწავლებლის საჭიროებისათვის და არა ის, რომ მაღალ მიწელს შევკითხებოდი და ან მის ხელ წამოსაკრავი გამხდარიყავი, როგორც ის ბრძანებს: „სკოლის დაუმთავრებლობის“ მიზეზით მოიჯარადრეები ასახელებენ „პირობისადაგვარად ფულების მიუღებლობასო“ და სხვა

— „მამა ბოკერიას, როგორც მზრუნველს, უფლება“ არ ქონდა ფულების საქმეში ჩარეოდაო“, მე თუ უფლება არ მქონებოდეს და არ შემძლებოდეს თქვენ წაგიყვანდით, მ. მაღალ მიწელო! სოფლად ხალხში ფულების შესაგროვებლად და არც უარით გაგისტუმრებდით ჩემთან რომ ბრძანდებოდით ფულების მიღებაზე, რომ თქვენ საკბილოდ გამხდარიყო! მაგრამ ამაებს ყველას თავს ვანებებ, მხოლოდ მაგონდება შოთას სიტყვები: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავი ზრდილიო“.

ახლა მოკლეთ მოგახსენებ ბ. მაღალმიწელო! თქვენი უმართებულო წერილი ვერ შეიცავს სრულ სიმართლეს და მოკლებულია ყოველივე ჭეშმარიტებას და ცარიელი წყლის ნაყვა გამოდის, რადგან დღეს ზემოხსენებულ სასწავლებელში, ავად თუ კარგათ, სწავლა გაჩაღებულია და მოწაფეებიც ბევრი გვყავს. ამიტომ გირჩევთ ათჯერ გაზომოთ და ერთხელ გადასჭრათ და მასთან ყოველივე უმგვანო წერა-ღლაჯნას გარკვევით დაუკვირდეთ, თუ რას ფიქრობს და სწერს ხოლმე თქვენი გენიოსური კალამი.

დღეიდან თქვენთან მე ყოველივე მიწერ მოწერას ვსპობ და არც სურვილი მაქვს თქვენთან კამათი გავმართო.

მღვდელი ი. ბოკერია.

*) ამ წერილს დაბეჭვდა დაგვიანდა.

რედ.

## სია

ქართ. შ. წ. კ. საზ ქუთ. განყ. 1914 წლის წევრებათ ჩაეწერა და საწევრო ფული შემოიტანა შემდეგმა პირებმა: შემდ. იხ. „სამშობლოს“ № 17.

სამსონ გიორგის ძე კალანდარაშვილმა, ნიკოლოზ ჩიქოვანმა, ნ. დავითაიამ, ივანე გობეჩიამ, მიხეილ ნიკიფორეს ძემ ბერძულიშვილმა, ნიკოლოზ მოსეს ძემ ქიქოძემ, ევგენი ბებეშქორმა, გრიგოლ გიორგაძემ, ინჟინერმა ოვრიკმა, აკაკი იოსების ძემ იოსელიანმა, გიორგი სვიმონის ძემ თუთბერიძემ, ვასილ გრიგოლის ძემ კლდიაშვილმა, სიმონ ალექსის ძემ ქვარიანმა, აბუსტიონ აბესაძემ, მოსე გიგინეიშვილმა, ნესტორ ფურცელაძემ, პავლე ივანეს ძემ მოსიძემ, დავით ალექსანდრეს ძემ ნაზაროვმა, თეოფილე დავითის ძემ ბახტაძემ, ასლან დავითის ძემ ზარკუამ, ივანე სიმონის ძემ ცქიტიშვილმა, დავით პავლეს ძემ მაჭავარიანმა, დავით ნიკოლოზის ძემ ავალიანმა, ინჟინერ ოვრიკმა შემოიტანა აგრეთვე 1915 წლის გადასახადიც, ლიუდმილა გოცირიძისამ, ანნა ახვლედიანისამ, ნიკო აბზიანიძემ, აქვსენტი ლორთქიფანიძემ, თამარა მაჭავარიანის ასულმა, ანნა რევაზიშვილის ასულმა, ნინო გიორგაძისამ, მარიამ გიორგობიანი—გაბაშელისამ, ზოსიმე ნემსიწვერიძისამ, გრიგოლ გიგინეიშვილმა, რაჟდენ ყარამანის ძემ დათეშიძემ და იოსებ გრიგოლის ძემ კემულარიამ.


**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება
9) „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

სპეციალური სახელოსნო

**პარმენ ამაღლობელის**

(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).



**ფეხსაცმელები ევრ. და აზიური,** როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.



ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.

ძმ. **ქორქოლაშის** მაღაზიაში

ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.

**მიღებულია** საპნის საკეთებელი სოდა ბორჯომის წყალი. საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი **აბრეშუმის თესლი.**

ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის“ ქარხნის სარწყავი მანქანები. და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.

ფასები ზომიერია.

გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ. წ.


ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან | სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. ქორქაძისა—ქუთაისი. | რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.